

ქართული გალობა
ანთოლოგია

Georgian Chant
Anthology

XXIX



ანზორ ერქომაიშვილის სახელობის ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი

Anzor Erkomaishvili Folklore State Centre

ფონდი ქართული გალობა

Georgian Chanting Foundation

ქართული გალობა
ანთოლოგია
ტომი XXIX

დასავლეთ საქართველოს სამგალობლო ტრადიცია

იოანე ოქროპირის,

პაპ გრიგოლ დიდის, „დიალოგოსის“ (პირველშენირულ ძღვენთა)
და ბასილი დიდის ლიტურგიების საგალობლები

Georgian Chant
Anthology
Volume 29

The Chant Tradition of Western Georgia

Chants for the Liturgies of

John Chrysostom,

Pope Gregory the Great (Presanctified Gifts)

and Basil the Great

თბილისი

Tbilisi

2023



ანთოლოგიის XXIX ტომში დაბეჭდილია იოანე ოქროპირის, ბასილი დიდისა და გრიგოლ დიდის (დიალოგოსის) ლიტურგიების საგალობლები ფილიმონ ქორიძისა და ექვთიმე კერესელიძის ხელნაწერებიდან. ეს ჰიმნები ამოკრებილია ხელნაწერებიდან, რომლებიც ანთოლოგიის წინა ტომებში არ გამოგვიცია. მათგან ზოგიერთი ნიმუში I და XVIII—XIX ტომებში მოცემული საგალობლების მსგავსია, მრავალი მათგანი კი, პირველად ქვეყნდება. წინამდებარე ტომით დასრულდა, XIX—XX საუკუნეების სანოტო ხელნაწერებსა და ნაბეჭდ კრებულებში შეტანილი წირვის ყველა ძველი ქართული საგალობლის ბეჭდვა ანთოლოგიაში. ამრიგად, სამი წირვის წესის ჰიმნთა რეპერტუარი ანთოლოგიის ცამეტ (I—V, XVIII—XXI და XXIII, XXVII—XXIX) ტომშია თავმოყრილი და 2700-მდე ნიმუშს მოიცავს. ეს სიმდიდრე, ანთოლოგიის მეშვეობით, საყოველთაოდ ხელმისაწვდომი გახდა.

Printed in Anthology Volume 29 are chants from the liturgies of John Chrysostom, Basil the Great, and Gregory the Great (the Dialogos) from the manuscripts of Philimon Koridze and Ekvtime Kereselidze. These hymns have been collated from manuscripts previously unpublished in the anthology. Some works are similar to chants in Volumes 1 and 18-19, yet many of them are being published for the first time. With the current volume, the printing of all the ancient Georgian chants for liturgy included in 19th-20th century notated manuscripts and printed collections reaches its conclusion. Thus, the repertoire for the three liturgical rites is assembled in 13 anthology volumes (1-4, 18-21, 23, and 27-29) covering up to 2,700 chants. Thanks to the anthology, this splendid material has become accessible for everyone.

იდეის ავტორი და პროექტის ხელმძღვანელი: სვიმონ (ჯიქი) ჯანგულაშვილი
Author and project leader: Svimon (Jiki) Jangulashvili

XXIX ტომის შემდგენლები და მუსიკალური რედაქტორები: ლევან ვეშაპიძე, სვიმონ (ჯიქი) ჯანგულაშვილი
Compilers and musical editors of Volume 29: Levan Veshapidze, Svimon (Jiki) Jangulashvili

შესავალი წერილის და კომენტარების ავტორი: სვიმონ (ჯიქი) ჯანგულაშვილი
The author of introduction and comments: Svimon (Jiki) Jangulashvili

რედაქტორი: რუსუდან წურწუმია
Editor: Rusudan Tsurtsumia

მთარგმნელი: ერიკ ჰალვორსონი
Translator: Eirik Halvorson

გამოცემაზე მუშაობდნენ: ნინო რაზმაძე, ელიზბარ ხაჩიძე
The publication was prepared by: Nino Razmadze, Elizbar Khachidze

კონსულტანტები: არქიდიაკონი დემეტრე დავითაშვილი, გიორგი ბარკავა
Consultants: Archdeacon Demetre Davitashvili, Giorgi Barkava

კომპიუტერული უზრუნველყოფა: ლევან ვეშაპიძე, სვიმონ (ჯიქი) ჯანგულაშვილი, გიორგი აბრამიშვილი
Computer services: Levan Veshapidze, Svimon (Jiki) Jangulashvili, Giorgi Abramishvili

დიზაინერი: ნიკოლოზ გოგაშვილი
Designer: Nikoloz Gogashvili

პროექტის კოორდინატორი: ნინო რაზმაძე
Project coordinator: Nino Razmadze

© ანზორ ერქომაიშვილის სახელობის ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი
Anzor Erkomaishvili Folklore State Centre

© ფონდი ქართული გალობა
Georgian Chanting Foundation

ISMN 979-0-802-100-95-4 (ყველა ტომის)
ISMN 979-0-802-101-97-5 (ოცდამეცხრე ტომის)

წინათქმა

ანთოლოგიის XXIX ტომში სრულდება ფილიმონ ქორიძისა და ექვთიმე კერესელიძის ხელნაწერებში მოცემული იოანე ოქროპირის, ბასილი დიდისა და პირველშენიერულ მსხვერპლთა (პაპ გრიგორი დიდის, დიალოგოსის) ლიტურგიების საგალობელთა ბეჭდვა.

წინამდებარე ტომში დაბეჭდილი წირვის 313 საგალობელი, კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული 17 სანოტო ხელნაწერი კრებულიდანაა აღებული:

- | | | | |
|--------------|----------|-----------|-----------|
| 1. H154-IV; | 5. Q666; | 9. Q676; | 13. Q680; |
| 2. H154-V; | 6. Q668; | 10. Q677; | 14. Q683; |
| 3. H154-VI; | 7. Q669; | 11. Q678; | 15. Q685; |
| 4. H154-VII; | 8. Q671; | 12. Q679; | 16. Q687; |
| | | | 17. Q688; |

ამ ხელნაწერებს სხვადასხვა თავისებურება აქვთ. უპირველესად, უნდა აღინიშნოს, რომ მათ შორის გვხვდება, როგორც შერეული რეპერტუარის მქონე, ისე, სისტემატიზებული, საგანგებოდ წირვის განგებისადმი მიძღვნილი კრებულები. ამ უკანასკნელთა შესწავლამ ცხად-ჰყო, რომ ისინი იყო ფ. ქორიძის, მოგვიანებით — ე. კერესელიძის სამუშაო და დასაყრდენი წყაროები ისეთი მნიშვნელოვანი პარტიტურებისათვის, როგორცაა — ფ. ქორიძის გამოცემული „ლიტურგია“ (ქორიძე, 1895) და ე. კერესელიძის გრანდიოზული ხელნაწერი Q674.

ეს კრებულებია Q671, Q676 და Q677. სწორედ მათშია სისტემატიზებული სახით მოცემული „გამშვენებული“ საგალობლების ის ძირითადი რეპერტუარი, რაც ფ. ქორიძემ შეიტანა გამოცემულ ოქროპირის „ლიტურგიაში“. ამასთან, Q676 და Q677 უფრო მისდევენ ერთმანეთს, ხოლო Q676-ში მოცემულია არა ერთი მათგან განსხვავებული ჰიმნი. საბოლოოდ, ამ სამი ხელნაწერის შეერთებით არის დაბეჭდილი ფ. ქორიძის „ლიტურგია“. ბასილი დიდისა და პირველშენიერული ლიტურგიების ქორიძისეულ გამოცემის (ქორიძე, 1901) და კერესელიძისეული Q674-ის მთავარ წყაროებს კი, ზემოხსენებულ სამ ხელნაწერთან ერთად, წარმოადგენს ხელნაწერები H154-IV; Q666, Q668, Q679, Q680.

ხელნაწერები Q671, Q676 და Q677, მართალია, თეთრად გადაწერილ, სისტემატიზებული კრებულებია (მინაწერების¹ მიხედვით, დასრულებულნი სავარაუდოდ, 1884—1885 წლებში), მაგრამ, მათში აშკარად შეინიშნება ფ. ქორიძის, როგორც საგალობელთა ჩამწერისა და გამომცემელ-რედაქტორის მუშაობის დიდი კვალი: უპირველესად, აღსანიშნავია, რომ ხელნაწერებში საგალობელთა უმრავლესობის, ხმათასვლით განსხვავებული ვარიანტებია დაფიქსირებული. როგორც ხსენებულ სამ, ისე XXIX ტომში გამოყენებულ სხვა ხელნაწერებში ჩანს, რომ ფ. ქორიძე, ჰიმნების გადმომცემებთან (რომელთა ანდერძ-მინაწერები მრავლადაა ხელნაწერებში) ერთად, იწერდა იმპროვიზაციულად განსხვავებულ სხვადასხვა ვარიანტს, შემდეგ კი, არჩევდა და ამუშავებდა მათ გამოსაცემად.² როგორც გამოსაცემად ამორჩეულ, ისე სხვა ვარიანტებში, ფ. ქორიძის ხელით არაერთი ცვლილებაა შეტანილი — სხვადასხვა ხმაში შეცვლილია მიკრომოტივები, ბევრჯერაა შეცვლილი თანხმოვანთა გამღერებები

¹ ამ სამი ხელნაწერის გადაწერის ვინაობა უცნობია. ისინი, სავარაუდოდ, ქორიძის მეუღლის მიერ უნდა იყოს გადაწერილი. თუმცა, მეტად შესრულებულ ამ ხელნაწერებში მრავლადაა ფ. ქორიძის მიერ, მეტწილად თუ ფანქრით შეტანილი მითითებანი თუ სხვადასხვა ხასიათის ჩანაწერები.

² მრავლადაა მინაწერები „მომზადებულია დასაბეჭდად“; „შემომწებულია“, „გადაწერილია“, „გადათვრებულია“ და ა.შ..

(რითაც ხელნაწერები ხშირად სხვაობს ერთმანეთისაგან),³ გაკეთებულია მითითებები ჰიმნთა ტემპის, ხასიათის, დინამიკის, ალტერაციის ნიშნების შესახებ.

ხელნაწერებში, ასევე, ცხადად ჩანს, რომ ფ. ქორიძე სარედაქციო სამუშაოს შედეგებს სისტემატიურად წარუდგენდა, ერთი მხრივ ჰიმნთა გადმომცემ მგალობლებს, ხოლო მეორე მხრივ — იმერეთის ეპარქიის კანცელარიას და სახელმწიფო ცენზურის წარმომადგენელ პირებსაც, — როგორც აღვნიშნეთ, ხელნაწერთა უმრავლესობაში ბევრჯერაა ამ ადამიანების, სხვადასხვა დროს შესრულებული მინაწერები, საეპარქიო კანცელარიისა თუ ცენზურის დასკვნა-ნებართვანი თუ კანცელარიული ხასიათის აღწერები.

ანთოლოგიის XXII—XXIX ტომებზე მუშაობისას, ცხადად დავინახეთ, რომ, როგორც ზემოთ ხსენებული, ისე ქორიძე-კერესელიძის მიერ სისტემატიზებული სხვა ხელნაწერი თუ გამოცემული კრებულების პირველად წყაროებს წარმოადგენენ ხელნაწერები, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის H კოლექციიდან. ეს კრებულები ფ. ქორიძის ხელითაა შესრულებული, ხშირად ფანქრით. მათში სხვადასხვა განგებისა და სტილის ჰიმნებია ჩანერილი. ეს არის უძვირფასესი მასალა, როგორც მრავლის-მომცველი რეპერტუარის, ისე გალობის სტილური ასპექტების და ჰიმნთა ჩანერა-გამოცემის პროცესზე დაკვირვებისათვის. H კოლექციის სანოტო კრებულებში და მათთან ახლოს მდგომ Q685-ში, ჩვენთვის უფრო ნაცნობი „გამშვენებული“ სტილის (იხ. ანთ., ტ. I; V; IX; XII—XIII; XIV—XVII; XVIII—XIX) გალობის გვერდით, აშკარად ვლინდება, „გამშვენებისა“ და არქაიკის სინთეზით აღბეჭდილი, სავარაუდოდ, ანტონ დუმბაძის სტილიც — გამორჩეული კვინტურ-ოქტავური, კვინტურ-ნონური და სეკუნდური თანაჟღერადობების ხშირი გამოყენებითა და არქაული პარალელიზმების სიჭარბით.

წინამდებარე ტომში გამოყენებულ ხელნაწერ კრებულებს მრავალი სხვა თავისებურებაც აქვთ, რომელიც სპეციალურ მუსიკოლოგიურ და წყაროთმცოდნეობით შესწავლას მოელის (ამ მხრივ, განსაკუთრებით დასაფასებელია, ვ. გვახარიას დ. შულღიაშვილისა და ნ. რაზმაძის „ქართული საგალობლების ხელნაწერთა აღწერილობა და ანბანური კატალოგი“, რომელიც, ანთოლოგიის გამოცემისას, ფასდაუდებელ დახმარებას გვინევს). აქ მხოლოდ რამდენიმე მომენტსლა აღვნიშნავთ:

აშკარად ჩანს, რომ ზოგიერთი ხელნაწერი პირველადია (ძირითადად, ფ. ქორიძის, ფანქრით შესრულებული ხელნაწერები), ხოლო ზოგიერთი გადაწერილ ასლს წარმოადგენს. ასლები ორგვარია — დედნის იდენტურნი და რეპერტუარის ან ხმათასვლის ვარიანტული ცვლილებებით განსხვავებულნი.

როგორც ცნობილია, ფ. ქორიძის ოცნება იყო მის მიერ ნოტირებული მთელი მასალის გამოცემა. სწორედ ამ მიზნით, ის ადგენდა სხვადასხვა პრინციპით სისტემატიზებულ კრებულებს — ზოგს თავად გადაწერდა, ზოგს, მისი მეუღლე, ან სხვა პირები. მოგვიანებით, მან მუშაობის ასეთი სტილი (რომელიც ერთდროულად გულისხმობს მასალის საველე-საექსპედიციო ფიქსირებას, კომპილაციასა და რედაქტირებას) ჩაუწერგა, ასწავლა და თავისი ხელნაწერები მემკვიდრეობით გადასცა ე. კერესელიძეს, რომელმაც, ამნაირად შეადგინა თავისი გრანდიოზული ხელნაწერები Q672, Q673 და Q674.

სწორედ, ზემოთ აღწერილი ხასიათის — ერთდროულად მსგავს და ვარიანტულად განსხვავებულ ხელნაწერთა წყვილებს წარმოადგენენ Q671 და Q677; H154-IV და Q677;

³ მრავალ ხელნაწერში, ზოგჯერ გაუგებარია, როგორ მღერდება ცალკეული თანხმოვნები. ზოგან განსხვავებული ფერის ფანქრით გადაკეთებულია ან გაუქმებულია თანხმოვნების გამღერებები. ხელნაწერებში გამოვლენილი თანხმოვანთა გამღერებების განსხვავება, ან ფ. ქორიძის ხელით ხელნაწერებში შეტანილი ცვლილებები თანხმოვანთა გამღერებებისა (ძირითადად, იგი აუქმებს თანხმოვნების ჭარბად გამღერებებს) ხშირია და მათ ანთოლოგიის წინამდებარე და სხვა ტომებში ცალკე იშვიათად აღვნიშნავთ და, ზოგჯერ, აღარც ვბეჭდავთ XXIX ტომის პარტიტურაში (მათ ნაცვლად ვაკეთებთ მთლიანი მარცვლების გამღერებას). როგორც ჩანს, შემსრულებლობის ეს მომენტი თავისუფალი იმპროვიზაციის სფეროს განეკუთვნებოდა.

Q666 და Q679; Q668 და Q680; Q685 (რომელიც განსაკუთრებით გამოირჩევა არქაული კვინტური ჟღერადობების სიჭარბით) და H154-VI; და სხვ...

ხელნაწერი Q676, იმის გარდა, რომ ზოგიერთი ჰიმნი მხოლოდ მასში გვხვდება, კიდევ იმითაცაა გამორჩეული, რომ ვოკალურ პარტიტურასთან ერთად მასში მოცემულია საფორტეპიანო ტრანსკრიფცია (სავარაუდოდ, რეპეტიციებისათვის), რომელიც არ გადმოგვაქვს ანთოლოგიაში, რადგანაც დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გაეცნონ ფოლკლორის ცენტრის საიტზე, (პროექტის „ქართული ტრადიციული საგალობლების ხელნაწერთა ბაზა“ ფარგლებში დიგიტალიზებული) ხელნაწერების კოლექციის გვერდზე.⁴ Q676-ის მინაწერში აღნიშნულია „ნ რვეული შემონიშნული ფ. ქორიძისაგან, რომელიც გადაიღო ტფილისშიდ ნაკაშიძის და კონტრიძისაგან გადაცემული“ (გვ. 4r). ცნობილია, რომ მელქისედეკ ნაკაშიძე და ნესტორ კონტრიძე „გამშვენებული“ სტილის განსაკუთრებული დიდოსტატები იყვნენ. შესაბამისია ამ ხელნაწერის რეპერტუარიც — მელოდირი, ფაქტურული თუ ჰარმონიული მრავალფეროვნებით და განვითარებულობით გამორჩეული.

Q677-ში, როგორც მინაწერშია აღნიშნული, რამდენიმე „რვეული“ და წირვის რამდენიმე კრებულია მოცემული: „პირველი რვეული არის სამღვდელმთავრო და სამღვდლო ოქროპირის წირვის წესი. ხოლო მეორე რვეული (რომელიც მეცხრე რვეულად არის აღნიშნული) არის იგივე პირველი რვეულის წირვის წესი, რომელიც მგალობელთაგან მეორედ გასწორებულ და გამშვენებულ იქმნა. ამ წიგნში მოთავსებული მერვე რვეული არის მიცვალებულის წესის-აგების გალობანი თავის სძლის-პირებით“ (გვ. 2r).

მართლაც, Q677-ის II ნაწილში მოცემული საგალობლები, მგალობელთა მიერ „გამშვენებულია“ ფ. ქორიძის „ლიტურგიის“ ჰიმნთა მსგავსად. ხოლო I ნაწილში მოცემული, ქორიძისეული „ლიტურგიისაგან“ განსხვავებული საგალობლების ნაწილი ხასიათდება, შედარებით ნაკლები „გამშვენებით“ — პოლიფონიური და ჰარმონიული მეტყველების უფრო ნაკლები სიმძაფრით; ნაწილი — ტერციული თანაჟღერადობებისა და პარალელიზმის სიხშირით; ნაწილი კი — უფრო შემოქმედის სკოლის (დუმბაძე-ერქომაიშვილთა მიერ გადმოცემული) გალობისათვის დამახასიათებელი სეკუნდური და კვინტური ჟღერადობებისა და პარალელიზმების სიჭარბით.

ამასთან, ხელნაწერებში Q671, Q676 და Q677, ჩანერილი არაა „ნამდვილი“ და „სადა-საბავშვო“ სტილების საგალობლები. ისინი, Q683-სა და Q688-შია ნოტირებული (არა ერთ „გამშვენებულ“ ჰიმნთან ერთად). თუკი „გამშვენებული“ საგალობლების შემთხვევაში ერთსახელიან ნიმუშთა ვარიანტული მრავალფეროვნება დიდია, ის კლებულობს „ნამდვილი“ სტილის წირვის ჰიმნთა შემთხვევაში (ძალიან პატარაა განსხვავება Q683-სა და Q674-ში (ანთ., ტ. XIX) ნოტირებული ამ კორპუსისა); ხოლო „სადა-საბავშვო“ სტილის წირვის საგალობლები Q688-სა და Q674-ში (იქვე), პრაქტიკულად არ განსხვავდება ერთმანეთისაგან (ამას შეიძლება, ისიც განაპირობებდეს, რომ ორივე ხელნაწერი ე. კერესელიძის გადაწერილია). ჩვენ „სადა“ და „ნამდვილი“ სტილების წირვის ჰიმნებსაც ვაქვეყნებთ წინამდებარე კრებულში.

წინამდებარე ტომში გამოყენებულ ხელნაწერებში ცხადად ჩანს ფაქტურული და ჰარმონიული აზროვნების განვითარების სხვადასხვა ეტაპის რელიქტები თუ გამოვლინებანი საგალობლებში: აქ გვხვდება როგორც არქაული კვინტური პარალელიზმის, ისე „სადა“ და „ნამდვილი“ სტილების და „გამშვენების“ სხვადასხვა ინტენსივობის მაგალითები. როგორც ეს ქართულ გალობას ახასიათებს, ყველა ასეთი სტილურ-ენობრივი მომენტი შესაძლებელია ცალკეულ ჰიმნებშიც კი ვლინდებოდეს ერთდროულად. ეს, თავის მხრივ, მიუთითებს ზეპირი ტრადიციის ფენომენსა და თავისებურებებზე და ამასთან, გალობაში იმპროვიზაციული და ვარიანტული აზროვნების წარმოუდგენელ თავისუფლებაზე.

⁴ <http://folk.gov.ge/baza/>

XXIX ტომზე მუშაობისას, ასევე, კიდევ ერთხელ დავინახეთ ფილიმონ ქორიძისა და ექვთიმე კერესელიძის შრომის საოცარი, წარმოუდგენელი მასშტაბები და, რაც მთავარია, ქორიძის ფენომენალური ნიჭიერება, გემოვნების საოცარი დახვეწილობა და მუსიკალური აზროვნების სიღრმე. როგორც მის მიერ ჩანერილი, ისე გამოსაცემად არჩეული ვარიანტები გვანცვიფრებენ მუსიკალური მშვენიერებით, პოლიფონიური და ჰარმონიული მეტყველების უნიკალობითა და მრავალფეროვნებით.

სწორედ ამ მომენტებითაა ძვირფასი ანთოლოგიის წინამდებარე ტომი. ამასთან, როგორც XXVIII—XXIX ტომების საერთო შესავალში აღვნიშნეთ, ამ ორ კრებულში სრულდება წირვის საგალობლების, დღემდე მოღწეული, ჩვენთვის ცნობილი ყველა ნიმუშის ბეჭდვა. მათი ერთი ნაწილი, ფაქტობრივად, იმეორებს ანთოლოგიის I და XVIII—XIX ტომებში გამოქვეყნებულ ვარიანტებს. იმავდროულად, ბევრი ვარიანტი პირველად ქვეყნდება.

* * *

XXVIII—XXIX ტომების წყაროებში მოცემული სხვა დღესასწაულებისა თუ განგებების ჰიმნები, ანთოლოგიის მომდევნო ტომებში დაიბეჭდება.

წყაროებში მოცემული მინაწერები თუ მითითება-აღნიშვნები უცვლელად გვაქვს გადმოტანილი სქოლიოებში, გარდა ჩვენ მიერ რედაქტირებული ზოგიერთი ტერმინისა თუ სიტყვის მოძველებული ან არასწორი ფორმებისა და დიალექტიზმებისა.

სქოლიოებში, ჰიმნთა წყაროების გვერდების მითითებისას, გამოყენებულია პროექტის „ქართული ტრადიციული საგალობლების ხელნაწერთა ბაზა“ ფარგლებში დიგიტალიზებული ხელნაწერების ფოტოების პაგინაცია.⁵

როგორც მთლიანად ანთოლოგიაში, წინამდებარე ტომშიც ჩვენი სარედაქტორო სამუშაო შემოიფარგლება ალტერაციის ნიშანთა ცვლილებითა და აშკარა შეცდომების გასწორებით, რალა თქმა უნდა, ყველგან შესაბამისი მითითებით კომენტარებში.

საგალობლების ფრაზებად და მუხლებად დაყოფა (ცეზურების აღმნიშვნელი მძიმეების, წყვეტილი თუ მთლიანი ტაქტის ხაზების მეშვეობით) ჩვენი რედაქტირების შედეგია (რადგანაც, ხელნაწერებში, ცეზურები, ძირითადად, ფერმატებითაა აღნიშნული, ან არაა მკაფიოდ გამოყოფილი).

ანთოლოგიის სხვა ტომების მსგავსად, XIX ტომშიც დაბეჭდილია ზოგიერთი საგალობლის როგორც ხელნაწერისეული, ასევე, საღვთისმსახურო მოთხოვნათა შესაბამისად ჩვენ მიერ რედაქტირებული ან განყოფილი/დამუშავებული ვარიანტებიც (ცხადია, შესაბამისი მითითებით სქოლიოებში). ასევე, წინამდებარე ტომშიცაა მოცემული ცალკეული საგალობლის ისეთი „პარალელური“ ვერსიებიც, რომლებიც ერთმანეთისაგან ჩვენ მიერ განსხვავებულად დასმული ალტერაციის ნიშნებით განსხვავდებიან.

ფრჩხილებში ჩასმული ყველა მუსიკალურ-გრაფიკული სიმბოლო (ნოტები, ალტერაციის ნიშნები, ცეზურების აღმნიშვნელი მძიმეები, ფერმატები...) ჩვენი ჩამატებულია და მათი შესრულება სავალდებულო არაა. ისეთ აგოგიკური და ექსპრესიული ნიუანსებს, რომლებიც ხელნაწერში მხოლოდ ქართულადაა ჩანერილი, ყველგან მივუწერეთ საერთაშორისო, იტალიური შესატყვისი.

დედნისეული ტექსტის ყველა სხვა ცვლილება პარტიტურის სქოლოებში, შენიშვნებში გვაქვს ასახული.

ანთოლოგიის შესავალ წერილში (იხ. ანთოლოგიის I ტომი) მოცემული მითითებები ეხება ყველა და, მათ შორის, XXIX ტომში დაბეჭდილ საგალობლებსაც.

სვიმონ (ჯიქი) ჯანგულაშვილი

⁵ <http://folk.gov.ge/baza/>

XXIX ტომში გამოყენებული და დამონმებული ლიტერატურა, ხელნაწერები და სანოტო გამოცემები

1. ქორიძე, ფილიმონ. (1895). *ქართული გალობა : ლიტურგია იოანნე ოქროპირისა // მღვდლისა და მღვდელმთავრისათვის // გადაღებული ფილიმონ ი. ქორიძის მიერ; გადმოცემული: ანტონ ნ. დუმბაძისა, დიმიტრი რ. ჭალაგანიძისა, მთავარ-დიაკონის რაჟდენ თ. ხუნდაძის და ივლიანე ი. წერეთლისაგან. რამდენიმე საგალობელი გადმოცემულია მელქისედექ გ. ნაკაშიძისა და მღ. ნესტორ ე. კონტრიძისაგან. პარტიტურა №1 // ტფილისი: მაქსიმე შარაძის გამოცემა და სტ., 1895;*
2. ქორიძე, ფილიმონ. (1901). *საგალობელნი პირველ შეწირულისა, ვასილი დიდისა, მღვდლის კურთხევისა და ქორწინებისა // პარტიტურა №2 // ქუთაისის ეპარქიის სამღვდლოების ხარჯით გადაღებული ფილიმონ იესეს ძის ქორიძის მიერ; გადმოცემული: დიმიტრი რ. ჭალაგანიძისა, მთავარ-დიაკონის რაჟდენ თ. ხუნდაძისა და ივლიანე წერეთლისაგან; სარჩევში რომელ საგალობელსაც ვარსკვლავი უზის, გურიაშია დაწერილი და გადმოცემულია ანტონ ნ. დუმბაძისაგან // ტფილისი: გამოცემა მ. შარაძისა და ამხ. (ე. კერესელიძისა, ს. ლოსაბერიძისა და ე. გრძელიძისა), 1901;*
3. შულლიაშვილი, დავით (2013). *ქართული საგალობლების ხელნაწერთა აღწერილობა და ანბანური კატალოგი. ნმ. ფილიმონ მგალობლის (ქორიძის) და ნმ. ექვთიმე აღმსარებლის (კერესელიძის) სანოტო ხელნაწერების მიხედვით. შემდგენლები: ვაჟა გვახარია, დავით შულლიაშვილი, ნინო რაზმაძე. თბილისი, 2013.*

XXIX ტომში გამოყენებული და დამონმებული სანოტო ხელნაწერები

1. H154-IV — *გურიაში დაწერილი გალობა. რვეული მეთორმეტე.* ფილიმონ ქორიძის ხელნაწერი. სარჩევი — ექვთიმე კერესელიძე. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი;
2. H154-V — *გურიაში დაწერილი გალობა. რვეული მეცამეტე.* ფილიმონ ქორიძის ხელნაწერი. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი;
3. H154-VI — *გურიაში დაწერილი გალობა. რვეული მეხუთმეტე. მე-14.* ფილიმონ ქორიძის ხელნაწერი. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი;
4. H154-VII — *გურიაში დაწერილი გალობა. რვეული მეხუთმეტე.* ფილიმონ ქორიძის ხელნაწერი. სარჩევი — ექვთიმე კერესელიძე. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი;
5. Q666 — *პარტიტურა პირველი [სადღესასწაულო საგალობლები].* ფილიმონ ქორიძის ხელნაწერი. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი;
6. Q668 — *პარტიტურა მესამე. რვეული 7. დიდ-მარხვის საგალობლის პარტიტურა.* 1886 წ. ფილიმონ ქორიძის ხელნაწერი. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი;
7. Q669 — *პარტიტურა მეოთხე. რვეული 8 [სადღესასწაულო საგალობლები].* ფილიმონ ქორიძის ხელნაწერი. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი;
8. Q671 — *მღვდელ-მთავრის პარტიტურა.* ფილიმონ ქორიძის (?) ხელნაწერი. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი;

9. Q672 — *პარტიტურა, წიგნი 16. სრულიად წელიწადსა შინა სახმარებელი რვა-ხმა აღდგომის სამწუხრო საგალობელნი. 1917 წ. ილუმენ ექვთიმე კერესელიძის ხელნაწერი. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი;*
10. Q673 — *პარტიტურა. წიგნი 17. სრულიად წელიწადსა შინა სახმარებელი რვა ხმა პარაკლიტონი, აღდგომისა და სადღესასწაულო სრული საცისკრო საგალობელნი. 1891—1920 წლები. ილუმენ ექვთიმე კერესელიძის ხელნაწერი. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი;*
11. Q674 — *ქართული გალობა. სამი წირვის წესი. ლიტურგია მღვდელთ-მთავართათვის და მღვდელთათვის. მთელი წლიური სანიწვო საგალობლები. პარტიტურა. წიგნი 1-ლი. 1900—1932 წლები. ილუმენ ექვთიმე კერესელიძის ხელნაწერი. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი;*
12. Q676 — *პირველი წიგნი. ქუთაისში დაწერილი. რვეული 6. სამ ხმაზე განწყობილი [წირვის საგალობლები]. 1884 წელი. ფილიმონ ქორიძის (?) ხელნაწერი. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი;*
13. Q677 — *მეორე წიგნი, ქუთაისში დაწერილი რვეულები პირველი, მეცხრე და მერვე, სამ ხმაზე განწყობილი [იოანე ოქროპირის სამღვდელთმთავრო წირვის, მიცვალებულთა, ბასილი დიდის წირვის და მღვდლის კურთხევის საგალობლები]. ფილიმონ ქორიძის (?) ხელნაწერი. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი;*
14. Q678 — *მესამე წიგნი. ქუთაისში დაწერილი. რვეულები მე-2 და 3. სამ ხმაზე დაწერილი [სადღესასწაულო საგალობლები]. 1886 წ. ფილიმონ ქორიძის (?) ხელნაწერი. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი;*
15. Q679 — *მეოთხე წიგნი. ქუთაისში დაწერილი რვეული 4. სამ ხმაში განწყობილი [სადღესასწაულო საგალობლები]. 1886 წ. ფილიმონ ქორიძის (?) ხელნაწერი. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი;*
16. Q680 — *მეხუთე წიგნი. ქუთაისში დაწერილი. რვეული მეხუთე. სამ ხმაზე განწყობილი [დიდი მარხვისა და ვნების კვირის საგალობლები]. 1886 წ. ფილიმონ ქორიძის ხელნაწერი. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი;*
17. Q683 — *მერვე წიგნი [წირვის, მწუხრის, ცისკრისა და დღესასწაულთა საგალობლები]. ფილიმონ ქორიძისა (?) და ექვთიმე კერესელიძის ხელნაწერი. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი;*
18. Q685 — *მეათე წიგნი, გურიაში დაწერილი რვეულები მეექვსე, მეშვიდე და მეთოთხმეტე [ცისკრისა და წირვის საგალობლები]. ფილიმონ ქორიძის ხელნაწერი. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი;*
19. Q687 — *მეთორმეტე წიგნი [ძლისპირები და სხვადასხვა საგალობლები]. ექვთიმე კერესელიძისა და რაჟდენ ხუნდაძის ხელნაწერი. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი;*
20. Q688 — *მეცამეტე წიგნი. პარაკლიტონის საგალობლები [მწუხრის, ცისკრისა და წირვის საგალობლები]. 1913 წ. ექვთიმე კერესელიძისა და რაჟდენ ხუნდაძის ხელნაწერი. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.*

Foreword

The printing of chants from the liturgies of John Chrysostom, Basil the Great, and the Presanctified Liturgy (Pope Gregory the Great) appearing in manuscripts by Philimon Koridze and Ekvtime Kereselidze reaches a conclusion in Anthology Volume 29.

All 313 liturgical chants in the present volume are from 17 notated manuscripts kept at the K. Kekelidze National Center of Manuscripts:

- | | | | |
|--------------|----------|-----------|-----------|
| 1. H154-IV; | 5. Q666; | 9. Q676; | 13. Q680; |
| 2. H154-V; | 6. Q668; | 10. Q677; | 14. Q683; |
| 3. H154-VI; | 7. Q669; | 11. Q678; | 15. Q685; |
| 4. H154-VII; | 8. Q671; | 12. Q679; | 16. Q687; |
| | | | 17. Q688; |

These manuscripts have different characteristics. First, it must be noted that there are manuscript collections with a mixed repertoire, as well as systematized collections especially dedicated to liturgical services. When studying the latter, it became apparent that they were fundamental work sources for P. Koridze, and later, E. Kereselidze, for such important collections as *The Liturgy* published by P. Koridze (Koridze, 1895) and E. Kereselidze's grandiose manuscript Q674.

These collections are Q671, Q676, and Q677. It is in these three collections that the basic repertoire of ornamented hymns included by P. Koridze in the published Liturgy of Chrysostom are shown in a systematized manner. Moreover, Q676 and Q677 are the most like each other, whereas there are many different hymns in Q671 not appearing in them. Lastly, P. Koridze's *The Liturgy* is a publication featuring these three manuscripts combined. Manuscripts H154-IV, Q666, Q668, Q679, and Q680 are the main sources for Koridze's publication of the Liturgy of Basil the Great and the Presanctified Liturgy (Koridze, 1901) and Kereselidze's Q674, along with the three previously mentioned manuscripts.

Manuscripts Q671, Q676, and Q677, are actually final copies of systematized collections (according to some postscripts,¹ supposedly during the years 1884-1885), but there is an immense trace of the work of P. Koridze as a chant transcriber, editor, and publisher within them: first of all, it is notable that most of the chants in the manuscripts are variants with different voice leading. It is evident in these manuscripts, and in the others used in Volume 29, that together with those individuals transmitting the hymns (with many of their testaments and postscripts in the manuscript), P. Koridze also transcribed various different variants done improvisationally, later selecting and processing them for publication.² There are many changes inserted by P. Koridze in the variants selected for publication, as well as in other ones - micro-motifs are altered in various voice

¹ It is unknown as to who copied these manuscripts. They supposedly must have been copied by Koridze's spouse. Still, there are numerous indications, or various other inscriptions written in ink or pencil by P. Koridze in these manuscripts done in ink.

² There are many such notes "Ready for printing", "checked", "copied", "clean copy", etc.

parts, many times consonants to be sung are changed (in which the manuscripts frequently differ from each other),³ remarks are made regarding the tempos, character, dynamics, and accidentals in the hymns.

It is also evident in the manuscripts that P. Koridze regularly showed the results of editorial work to chanters transmitting the hymns, on one hand, whereas on the other, to the Imereti Diocese Chancellery and people representing the state censorship. As noted, there are many annotations done at various times by these people, conclusions and authorizations by the diocesan chancellery or state censorship, or descriptions of a bureaucratic nature in most manuscripts.

When working on Volumes 22-29 of the anthology, it was clearly seen that manuscripts from the H Collection at the National Center of Manuscripts represent the primary sources of the previously mentioned collections, as well as of other manuscripts or published collections organized by Koridze-Kereselidze. These collections are frequently done in pencil by P. Koridze. Services and hymns in various styles are notated within them. This is invaluable material for expansive repertoires, as well as for observing the stylistic aspects of chant and the process of transcribing and publishing hymns. Alongside chant in the ornamented style more familiar to us in the notated manuscripts of the H Collection and in the quite similar Q685 (see Anth. Vol. 1, 5, 9, 11-13, 14-17, 18-19), there is also supposedly evidence of Anton Dumbadze's style imbued with a synthesis of the ornamented style and a more archaic one - distinguished by the frequent usage of quintal-octave, quintal nonal, and secundal harmonies and an excess of archaic parallelisms.

The manuscript collections used in the present volume have many other features awaiting musicological and source study (in this aspect, *Descriptions, and an Alphabetic Catalog of Georgian Chant Manuscripts* by V. Gvakharia, D. Shugliashvili, and N. Razmadze is especially valuable, which when publishing the anthology, provides us with crucial assistance). Here, only a few things will be noted:

It is plainly evident that some manuscripts are primary sources (basically the manuscripts done in pencil by P. Koridze), whereas others represent copies of manuscripts. There are two types of copies - those identical to the original source and those having differences in the repertoire or variant alterations in the voice leading.

As is known, it was P. Koridze's dream to publish all the material he had notated. Because of this, he compiled collections structured through various principles - some were copied by him himself, his spouse, or other people. Later, he instilled his work style (simultaneously implying the field transcriptions of material, compilation, and redaction) in, taught it, and bequeathed his manuscripts to E. Kereselidze, who in this way, compiled his own grandiose manuscripts Q672, Q673, and Q674.

Having the aforementioned characteristic, Q671 and Q677, H154-IV and Q677, Q666 and Q679, Q668 and Q680, Q685 (which especially stands out with an excess of archaic

³ In many manuscripts, it is sometimes unclear as to how individual consonants are sung. There are some spots where they have been reworked in a different pencil color or cancelled out. Discrepancies in singing consonants or changes in sung consonants inserted in the manuscript by P. Koridze are frequent (primarily excessive singing of consonants are cancelled out by him) and they are rarely remarked upon in the current or other volumes; sometimes they are no longer printed in the score for Volume 29 (the singing of full syllables is done in their place).

It seems this performance aspect was relegated to the sphere of free improvisation.

quintal harmonies) and H154-VI, etc., represent manuscript pairs that are simultaneously similar and variationally different.

Apart from some hymns being found only within it, manuscript Q676 is also exceptional for a piano transcription appearing along with the vocal score (supposedly for rehearsals), which is not included in the anthology, since interested individuals can view it on the manuscript collection page⁴ on the Folklore Center site (digitized through the Database of Georgian Traditional Chant Manuscripts project). "6 notebooks donated from P. Koridze which were transcribed in Tbilisi from Nakashidze and Kontridze" (pg. 4r) is indicated in the postscript of Q676. It is known that these two chanters were distinguished masters of the ornamented style. The repertoire of this manuscript corresponds to this fact - exceptional for its melodic, textural, or harmonic diversity and state of development.

As indicated in the postscript, several "notebooks" and a few liturgical collections are in Q677: "The first notebook has the hierarchical and regular liturgies of John Chrysostom. Whereas the second notebook (marked as the 9th one) is the same rite as the first notebook, corrected a second time and ornamented by the chanters. The 8th notebook contained in this book has chants for the funeral service with the heirmois." (pg. 2r)

Truly, the chants appearing in the second portion of Q677 have been ornamented by the chanters like the hymns of P. Koridze's *The Liturgy*. Yet, some of the chants different from those of P. Koridze's *The Liturgy* shown in the first part are characterized by comparatively less ornamentation - with less intense polyphonic and harmonic language; some chants have frequent tertian harmonies and parallelisms, others are more characteristic of Shemokmedi school chant (transmitted from Dumbadze and the Erkomaishvili family) with a lot of secundal and quintal harmonies and parallelisms.

Moreover, there are no hymns transcribed in the authentic and children's plainchant styles in Q671, Q676, and Q677. They are notated in Q683 and Q688 (along with many ornamented hymns, too). If in the case of ornamented hymns, there is a great variant diversity among works with the same title, there is less of this in the case of liturgical hymns in the authentic style (a very slight difference in this corpus is notated in Q683 and Q674 (Anth. Vol. 19)); whereas there are practically no discrepancies among liturgical hymns in the children's plainchant style in Q688 and Q674 (this might be stipulated by the fact that both manuscripts were copied by E. Kereselidze). Liturgical hymns in the plainchant and authentic styles are also published in the present collection.

Some relics or phenomena of the various stages in the development of textural and harmonic thought are well evident in the manuscripts used in the present book: there are some examples of archaic quintal parallelism, as well as various degrees of the plainchant and authentic styles, and of ornamentation. Since Georgian chant is characterized by this, all such stylistic, linguistic moments might simultaneously be present in individual hymns as well. This, in itself, is a reference to the phenomenon and idiosyncrasies of the oral tradition, and moreover, to the unimaginable liberty of improvisational and variant thought in chanting.

While working on Volume 29, the amazing, unfathomable dimensions of the work of Philimon Koridze and Ekvtime Kereselidze, and the main thing - the phenomenal talent,

⁴ <http://folk.gov.ge/baza/>

wondrously refined tastes, and profundity of musical thought belonging to Koridze - were witnessed once again. We are awestruck by the hymns he transcribed, as well as those variants chosen for publication through their musical beauty, and uniqueness and diversity of polyphonic and harmonic language.

It is in these moments that the current volume has its value. Moreover, as noted in the shared introduction for Volumes 28-29, all known examples of liturgical chants surviving to the present day are finally being printed in these two collections. Part of them, in fact, reiterate some variants published in Volumes 1 and 18-19 of the anthology. At the same time, many variations are being printed for the first time.

* * *

Hymns for other feast days or services appearing in the sources for Volumes 28-29 will be printed in subsequent anthology volumes.

All the postscripts or indications in the manuscripts have been moved to the footnotes without any alterations, apart from some redacted terms, or outdated or incorrect dialectical forms of a word.

When referencing the source pages of hymns in the footnotes, the pagination of manuscript photos digitized through the "Manuscript Database for Traditional Georgian Chants" project has been used.⁵

Like for the anthology in its entirety, any redactorial work in Volumes 28-29 consists of changes in accidentals and the corrections of obvious errors, of course, with the appropriate indications in the comments.

The division of chants into phrases and verses (using commas or dotted or whole bar lines to denote caesuras) is done by the editors (because caesuras are primarily indicated in the manuscripts with fermatas or are not clearly distinguished).

Like other volumes of the anthology, manuscript versions of certain chants, as well as some variants edited or arranged/reworked in accordance with modern liturgical needs are printed in Volume 29 (clearly with the appropriate indications in the footnotes). There are also some "parallel" versions of individual hymns shown in the current volume which differ from each other in regard to the placement of disparate accidentals.

All musical, graphical signs placed in parentheses (notes, accidentals, commas indicating caesuras, fermatas...) have been added by the editors and their performance is not obligatory. Any agogic or expressive markings written in Georgian in a manuscript are accompanied by the international Italian equivalent.

Any other changes in the original text have been reflected in the score footnotes and comments.

All indications in the anthology's introductory letter (see Anth. Vol. 1) apply to all chants, including those printed in Volume 29.

Svimon (Jiki) Jangulashvili

⁵ <http://folk.gov.ge/baza/>

Literature, Manuscripts, and Published Scores Used and Cited in Volume 29 (in Georgian)

1. Koridze, Philimon. *Georgian Chant : The Liturgy of John Chrysostom // For Priest and Hierarch // Transcribed by Philimon I. Koridze; Transmitted by Anthon N. Dumbadze, Dimitri R. Chalaganidze, Archdeacon Razhden T. Khundadze, and Ivliane I. Tsereteli. Several chants are transmitted by Melkisedek G. Nakashidze and Priest Nestor E. Kontridze. Score #1 //* Tbilisi :Maksime Sharadze Publishing and Press, 1895;
2. Koridze, Philimon. *Chants for Presanctified Liturgy, the Liturgy of Basil the Great, Rite of the Priesthood, and Marriage Service // Score #2 // Transcribed by Philimon Koridze, son of Iese with funding from the Kutaisi Diocese clergy; Transmitted by Dimitri R. Chalaganidze, Archdeacon Razhden T. Khundadze, and Ivliane Tsereteli; Chants marked with an asterisk in the table of contents were transcribed in Guria from Anton N. Dumbadze //* Tbilisi, M. Sharadze and Co. Publishing (E. Kereselidze, S. Losaberidze, and E. Grdzelidze), 1901;
3. Shugliashvili, David. *Description and Alphabetical Catalog of Georgian Chant Manuscripts. According to Notated Manuscripts by St. Philimon the Chanter (Koridze) and St. Ekvtime the Confessor (Kereselidze).* Compiled by Vazha Gvakharia, David Shugliashvili, Nino Razmadze. Tbilisi, 2013.

Notated Manuscripts Used and Cited in Volume 29 (in Georgian)

1. H154-IV - *Chants Transcribed in Guria. Notebook 12.* Philimon Koridze's manuscript. Table of contents - Ekvtime Kereselidze. K. Kekelidze National Center of Manuscripts;
2. H154-V - *Chants Transcribed in Guria. Notebook 13.* Philimon Koridze's manuscript. K. Kekelidze National Center of Manuscripts;
3. H154-VI - *Chants Transcribed in Guria. Notebook 15.* 14. Philimon Koridze's manuscript. K. Kekelidze National Center of Manuscripts;
4. H154-VII - *Chants Transcribed in Guria. Notebook 15.* Philimon Koridze's manuscript. Table of contents - Ekvtime Kereselidze. K. Kekelidze National Center of Manuscripts;
5. Q666 - *Score #1 [Chants for Feast Days].* Philimon Koridze's manuscript. K. Kekelidze National Center of Manuscripts;
6. Q668 - *Score #3. Notebook 7. Score for the Chants of Great Lent.* 1886. Philimon Koridze's manuscript. K. Kekelidze National Center of Manuscripts;
7. Q669 - *Score #4. Notebook 8 (Feast Day Chants).* Philimon Koridze's manuscript. K. Kekelidze National Center of Manuscripts;
8. Q671 - *Score for a Hierarch.* Philimon Koridze's (?) manuscript. K. Kekelidze National Center of Manuscripts;

9. Q672 - *Score, Book 16. Paschal Chants for Vespers of the Octoechos for the Entire Year.* 1917. Abbot Ekvtime Kereselidze's manuscript. K. Kekelidze National Center of Manuscripts;
10. Q673 - *Score. Book 17. Octoechos for the Entire Year, All Matins Chants for Pascha and Feast Days.* 1891-1920. Abbot Ekvtime Kereselidze's manuscript. K. Kekelidze National Center of Manuscripts;
11. Q674 - *Georgian Chant. Three Liturgical Rites. Liturgy for Hierarch and Priest. Chants for the Liturgy for the Entire Year. Score. Book #1.* 1900-1932. Abbot Ekvtime Kereselidze's manuscript. K. Kekelidze National Center of Manuscripts;
12. Q676 - *Book 1. Transcribed in Kutaisi. Notebook 6. Arranged for 3 Voices [Chants for Liturgy].* 1884. Philimon Koridze's manuscript (?). K. Kekelidze National Center of Manuscripts;
13. Q677 - *Book 2, Notebooks 1, 9, and 8 transcribed in Kutaisi, arranged for 3 voices [Chants for the Hierarchical Liturgy of John Chrysostom, the Funeral Service, Liturgy of Basil the Great, and Rite of the Priesthood].* Philimon Koridze's manuscript (?). K. Kekelidze National Center of Manuscripts;
14. Q678 - *Book 3. Transcribed in Kutaisi. Notebooks 2 and 3. Transcribed in 3 voices [Chants for feast days].* 1886. Philimon Koridze's manuscript (?). K. Kekelidze National Center of Manuscripts;
15. Q679 - *Book 4. Notebook 4 transcribed in Kutaisi. Arranged in 3 voices [Chants for feast days].* 1886. Philimon Koridze's manuscript (?). K. Kekelidze National Center of Manuscripts;
16. Q680 - *Book 5. Transcribed in Kutaisi. Notebook 5. Arranged in 3 voices [Chants for Great Lent and Holy Week].* 1886. Philimon Koridze's manuscript. K. Kekelidze National Center of Manuscripts;
17. Q683 - *Book 8 [Chants for Liturgy, Vespers, Matins, and feast days]. Philimon Koridze's (?) and Ekvtime Kereselidze's manuscript.* K. Kekelidze National Center of Manuscripts;
18. Q685 - *Book 10, Notebooks 6, 7, and 14 transcribed in Guria [Chants for Matins and Liturgy].* Philimon Koridze's manuscript. K. Kekelidze National Center of Manuscripts;
19. Q687 - *Book 12 [Heirmois and chants].* Ekvtime Kereselidze's and Razhden Khundadze's manuscript. K. Kekelidze National Center of Manuscripts;
20. Q688 - *Book 13. Octoechos Chants [Chants for Vespers, Matins, and Liturgy].* 1913. Ekvtime Kereselidze's and Razhden Khundadze's manuscript. K. Kekelidze National Center of Manuscripts.

ქართული ანბანის საერთაშორისო ტრანსკრიფცია International transcription of the Georgian alphabet

Mkhedruli	Roman	IPA	Examples	Pronunciation Tips
ა	a	/a/	f <u>a</u> ther	open "ah" vowel sound
ბ	b	/b/	<u>b</u> less	
გ	g	/g/	<u>g</u> iven	
დ	d	/d/	<u>d</u> ay	
ე	e	/ɛ/	s <u>e</u> t	open "eh" vowel sound, between "wet" or "wait". Spanish or German "e".
ვ	v	/v/	<u>v</u> et	vat/twine/tuft - this sound is often "w" when it follows another consonant, or sometimes like "f" when between consonants
ზ	z	/z/	<u>z</u> enith	
თ	t	/t ^(h) /	<u>t</u> oday	
ი	i	/i/	<u>m</u> ee <u>t</u>	bright "ee" vowel sound
კ	k'	/k'/	<u>p</u> ick	non-aspirated "k" has no "h" breathiness in it. Slightly percussive
ლ	l	/l/	<u>l</u> ife	
მ	m	/m/	<u>m</u> entor	
ნ	n	/n/	<u>n</u> ew	
ო	o	/ɔ/	<u>g</u> o	round "oh" vowel sound
პ	p'	/p'/	<u>u</u> p <u>k</u> ee <u>p</u>	non-aspirated "p" has no breathy "h" sound in it
ჟ	zh	/z/	plea <u>s</u> ure	
რ	r	/r/	-	Rolled "r" behind the upper teeth.
ს	s	/s/	<u>s</u> ee	
ტ	t'	/t'/	si <u>t</u> com	non-aspirated "t"
უ	u	/u/	<u>r</u> oo <u>t</u>	pursed lips round "oo" vowel sound
ფ	p	/p ^(h) /	<u>p</u> ilgrim	soft "p" with plenty of "h" breathiness in it
ქ	k	/k ^(h) /	<u>c</u> all	soft "k" with plenty of "h" breathiness in it
ყ	gh	/ɣ/	Pa <u>r</u> is	Like French "r", produced in back of the throat at the same place as "g" but with friction like "kh". Not overly pronounced or audible
ყ	q	/q'/	-	Produced in the throat as a light glottal stop. Not overly pronounced or audible
შ	sh	/ʃ/	<u>s</u> hine	
ჩ	ch	/tʃ ^(h) /	<u>c</u> h <u>o</u> ose	
ც	ts	/ts ^(h) /	<u>s</u> ets	
ძ	dz	/dz/	<u>n</u> ods	
წ	ts'	/ts'/	s <u>i</u> ts near	sort of, if both words are pronounced quickly. non-aspirated "ts"
ჭ	ch'	/tʃ'/	<u>m</u> uch noise	sort of, if both words are pronounced quickly. non-aspirated "ch"
ხ	kh	/x/	Ba <u>ch</u>	As in Yiddish chutzpah, Scottish loch
ჯ	j	/dʒ/	<u>j</u> oy	
ჰ	h	/h/	<u>h</u> ymn	

© John A. Graham.

Modified from version in "The Transmission and Transcription of Georgian Liturgical Chant," Ph.D. dissertation (Princeton, 2015)

იოანე ოქროპირის წირვა

სამღვდელთმთავრო ლიტურგიის საგალობლები

ფილიმონ ქორიძისა და ექვთიმე კერესელიძის ხელნაწერებიდან

* * *

The Liturgy of John Chrysostom

Chants for the Hierarchical Liturgy

From the Manuscripts of Philimon Koridze and Ekvtime Kereselidze

1. აღმოსავალითგან მზისა ^{1) 2)}

From the Rising of the Sun

3)

აღ - მო - სა - ვა - ლით - გან მზი - სად, ვიდ - რე

აღ - მო - სა - ვა - ლით - გან მზი - სად, ვიდ - რე

agh - mo - sa - va - lit - gan mzi - sad, ვიდ - რე

და - სა - სრუ - ლად - მდე ქვე - ყა - ნი - სა,

4)

და - სა - სრუ - ლად - მდე ქვე - ყა - ნი - სა,

da - sa - sru - lad - mde kve - qa - ni - sa,

4)

ქე - ბულ არს სა - ხე - ლი შე - ნი, უ - ფა - ლო, ა - მი - ე - - -

ქე - ბულ არს სა - ხე - ლი შე - ნი, უ - ფა - ლო, ა - მი - ე - - -

ke - bul ars sa - khe - li she - ni, u - pa - lo, a - mi - e - - -

1) ხელნაწერიდან Q688:060v.

2) ფ. ქ. (ფილიმონ ქორიძე): „საეპისკოპოსო“.

3) ხელნაწერში საგალობელი ნოტირებულია ალტერაციის საგასაღებო ნიშნების გარეშე.

4) ფორჩხილებში ჩასმული ალტერაციის ნიშნები ყველგან ჩვენი ჩამატებულია. მათი შესრულება სავალდებულო არაა.

5) სიტყვა „უფალო“ და მისი გასამღერებელი თანაუღერადობები ჩვენი ჩამატებულია.


1) From the manuscript Q688:060v.

2) P. K. (Philimon Koridze): "For a bishop".

3) In the manuscript, the chant is notated without accidentals in the key signature.

4) All accidentals that appear in parentheses were added by the editors. They can be sung (or not sung) at will.

5) The word "upalo" and the pitches to be sung to it have been added by the editors.



რი - დგან და უ - კუ - ნი - სამ - დე!

ri - dgan da u - k'u - ni - sam - de!

2. მოსლვისა შენისა ^{1) 2)} I Heard the Mistry



მოს - ლვი - სა შე - ნი - სა

mos - lvi - sa she - ni - sa



სა - ი - დუმ - ლო მეს - მა, დი - დე -

sa - i - dum - lo mes - ma, di - de -

1) ხელნაწერიდან H154-IV:085r.

2) ფ. ქ.: „ქორწინების წინედი“.

3) ხელნაწერში აქ ლა ბეკარია.

1) From the manuscript H154-IV:085r.

2) P. K.: "Before the marriage service".

3) There is an A natural in the manuscript.



ბუ - ლი, შე - მე - ში - ნა და და -
 ბუ - ლი, შე - მე - ში - ნა და და -
 bu - li, she - me - shi - na da da -

მი - კვირ - და და სი - ხა - რუ - ლით ვღა - ღა -
 მი - კვირ - და და სი - ხა - რუ - ლით ვღა - ღა -
 mi - k'vir - da da si - kha - ru - lit vgha - gha -

დებ: „ძალ - სა შენ - სა დი - დე - ბა, კატთ -
 დებ: „ძალ - სა შენ - სა დი - დე - ბა, კატთ -
 deb: „dzal - sa shen - sa di - de - ba, k'atst -

მო 1) - ყვა - - - რე!
 მო 1) - ყვა - - - რე!
 1) mo - qva - - - re!


1) ხელნაწერში აქ ლა ბეკარია.

1) There is an A natural in the manuscript.

3. მოსლვისა შენისა ^{1) 2)}

I Heard the Mistry

დინჯად - Adagio



მოს - ლვი - სა შე - ნი - სა
მოს - ლვი - სა შე - ნი - სა
mos - lvi - sa she - ni - sa



სა - ი - დუმ - ლო მეს - მა, დი - დე -
სა - ი - დუმ - ლო მეს - მა, დი - დე -
sa - i - dum - lo mes - ma, di - de -



ბუ - ლი, შე - მე - ში - ნა და
ბუ - ლი, შე - მე - ში - ნა და
bu - li, she - me - shi - na da

1) ხელნაწერიდან H154-VI:190r.

2) ფ. ქ.: „ქორწინებისა. გასწორებულია“.

1) From the manuscript H154-VI:190r.

2) P. K.: "Marriage service. Was corrected".



ნართეშით - recit. *[a tempo]*

p *f*

და - მი - კვირ - და და სი - ხა - რუ - ლით ვლა -
da - mi - k'vir - da da si - kha - ru - lit vgha -

და - დებ: „ძალ - სა შენ - სა
gha - deb: „dzal - sa shen - sa

დი - დე - ბა, კატო - მო 1) - - ყვა -
di - de - ba, k'atst - mo - - - qva -

რე!
რე!
re!

1) ხელნაწერში აქ ლა ბეკარია.
1) There is an A natural in the manuscript.

4. ის პოლლა¹⁾

Eis Pollá

2)

ის პო-ლლა - ი ე - ტი დე - - -
 ის პო-ლლა - ე - ტი დე - - -
 is p'o - lla - i e - ti de - - -

სპო - - - ტა!
 სპო - - - ტა!
 sp'o - - - t'a!

1) ხელნაწერებიდან Q671:0005; Q677:004r; Q683:011v.

2) ხელნაწერ Q671-ში გასაღებში აღნიშნულია სი ბემოლი, ხოლო ხელნაწერებში Q677 და Q683 — სი და მი ბემოლები.

1) From the manuscripts Q671:0005; Q677:004r; Q683:011v.

2) The manuscript Q671 contains a B flat in the key signature. The manuscripts Q677 and Q683 contain a B flat and an E flat in the key signature.



5. ღირს არს ქვეშარიტად¹⁾

It Is Truly Meet

სამღვდელთმთავრო

For a Hierarch

ნელა - Adagio

2) 3)

ღირს არს (და) ქვე - მა - რი - ტა - დ, რა -

ღირს არს (და) ქვე - მა - რი - ტა - დ, რა -

ghirs ars (da) ch'esh - ma - ri - t'a - d, ra -

4)

თა გა - დი - დე - ბ - დე - თ

თა გა - დი - დე - ბ - დე - თ

ta ga - di - de - b - de - t

შენ, ღვთი - ს - მშო - ბე -

შენ, ღვთი - ს - მშო - ბე -

shen, ghvti - s - msho - be -

1) ხელნაწერებიდან Q671:0006; Q677:004r; Q683:011v.

2) ხელნაწერებში გასაღებში აღნიშნულია სი, მი და ლა ბემოლები.

3) „ღირს არსის“ პოეტურ ტექსტში აქ სიტყვა „და“ არაა. ამ თანაჟღერადობისა და სიტყვა „და“-ს შესრულება დასაშვებია მაგალობელთა სურვილისამებრ, Ad Libitum.

4) აქედან საგასაღებო ნიშნები ჩვენი შეცვლილია.

1) From the manuscripts Q671:0006; Q677:004r; Q683:011v.

2) The manuscripts contain a B flat, an E flat and an A flat in the key signature.

3) In the lyrics of "It Is Very Meet" syllable - "Da" is not present. It is up to performers, whether they would like to sing it or not, *Ad libitum*.

4) From here, the change in the key signature was added by the editors.



recit. *a tempo*

ლო, რო - მე - ლი მა - რა - დის სა - ნატ - რელ

lo, ro - me - li ma - ra - dis sa - nat' - rel

ი - ქმე - ნ, ყო - ვ - ლად უ - ბი -

i - kme - n, qo - v - lad u - bi -

1) 3

წო - ღ - და დე - და - ღ - ღვთი -

ts'o - d da de - da - d ghvti -

სა - ჩვე - ნი - სა! უ - პა -

sa chve - ni - sa! u - p'a -

1) აქედან ხელნაწერში Q683 მხოლოდ I სმის მელოდივალა ნოტირებული — წინამდებარის იდენტურად.
1) From this point only the first voice melody is notated in manuscript Q683 - it is identical to the current one.



ტი - ოს - ნე - სსა ქე - რუ -
ტი - ოს - ნე - სსა ქე - რუ -
t'i - os - ne - ssa ke - ru -

ბი - მთა - სა და აღ - მა -
ბი - მთა - სა და აღ - მა -
bi - mta - sa da agh - ma -

ტე - ბით უ - ზეს - თა - ეს - სა სე - რა -
ტე - ბით უ - ზეს - თა - ეს - სა სე - რა -
t'e - bit u - zes - ta - es - sa se - ra -

ფი - მთა - სა, გა - ნუხრ - ნე -
ფი - მთა - სა, გა - ნუხრ - ნე -
pi - mta - sa, ga - nukhr - ts'ne -

ლა - დ მშო - ბე - ლ - სა
ლა - დ მშო - ბე - ლ - სა
la - d msho - be - l - sa

სიტ-ყვი - სა ღვთი-სა - სა, მხო - ლო - ო - სა
სიტ-ყვი - სა ღვთი-სა - სა, მხო - ლო - ო - სა
sit' - qvi - sa ghvti-sa - sa, mkho - lo - o - sa

ღვთი - ს-მშო - ბე - ლ - სა
ღვთი - ს-მშო - ბე - ლ - სა
ghvti - s-msho - be - l - sa

ritenuto assai 1) *rit.*

გა-ლო - ბი - თ ვა - დი - დე - ბდეთ!
გა-ლო - ბი - თ ვა - დი - დე - ბდეთ!
ga - lo - bi - t va - di - de - bdet!

1) ხელნაწერში Q671 | ხმის მოტივი მარცვლებზე „დებდეთ“ ორჯერ გრძელი გრძლიობებითაა ჩანერილი, ქვედა ხმები — წინამდებარის იდენტურად.

1) The first voice motif on the syllables "debdet" is notated in twice as long durations in manuscript Q671, the lower voices are identical to the current hymn.

6. ღირს არს ქეშმარიტად^{1) 2)}

It Is Truly Meet

სამღვდელთმთავრო

(For a Hierarch)

Andante sostenuto

3) 4)

ღირს არს (და) ქეშ - მა რი - ტად,
ღირს არს (და) ქეშ - მა რი - ტად,
ghirs ars (da) ch'esh-ma ri - t'ad,

რა - თა გა - რი -
რა - თა გა - რი -
ra - ta ga - di -

დებ - დეთ შენ, ღვთის - მშო
დებ - დეთ შენ, ღვთის - მშო
deb - det shen, ghtis - msho -

1) ხელნაწერიდან Q677:042r.

2) ფ. ქ.: „რვეული მეცხრე. ღირს არს ქეშმარიტად მღვდელ-თავარის შემოსვლის დროს. გადასწორებული“.

3) ხელნაწერში საგალობელი ნოტირებულია ალტერაციის საგასაღებო ნიშნების გარეშე.

4) „ღირს არსის“ პოეტურ ტექსტში აქ სიტყვა „და“ არაა. ამ თანაჟღერადობისა და სიტყვა „და“-ს შესრულება დასაშვებია მგალობელთა სურვილისამებრ, *Ad libitum*.

1) From the manuscript Q677:042r.

2) P. K.: "Notebook 9. "It Is Truly Meet" for when a hierarch enters the church. Corrected".

3) In the manuscript, the chant is notated without accidentals in the key signature.

4) In the lyrics of "It Is Very Meet" syllable - "Da" is not present. It is up to performers, whether they would like to sing it or not, *Ad libitum*.



ბე - - - - - ლო, რო - მე - ლი მა - რა - დის
 be - - - - - lo, ro - me - li ma - ra - dis

სა - ნატ - რელ ი - ქმენ, ყოვ -
 sa - nat' - rel i - kmen, qov -

Alla breve

ლად უ - ბი - წოდ
 lad u - bi - ts'od

და დე - დად
 da de - dad

1) ამ *Alla breve*-ს შესრულება დასაშვებია მაგალობელთა სურვილისამებრ, *Ad libitum*.

1) It is up to performers, whether they would like to perform this *Alla breve* or not, *Ad libitum*.

ღვთი - სა ჩვე - ნი - სა!

ღვთი - სა ჩვე - ნი - სა!

ghvti - sa chve - ni - sa!

Andante maestoso

უ - პა - ტი - ო - სნე - სსა

უ - პა - ტი - ო - სნე - სსა

u - p'a - ti - o - sne - ssa

ქე - რუ - ბიმ - თა - სა და

ქე - რუ - ბიმ - თა - სა და

ke - ru - bim - ta - sa da

recit.

აგ - მა - ტე - ბით უ - ზეს - თა - ეს - სა

აგ - მა - ტე - ბით უ - ზეს - თა - ეს - სა

agh - ma - t'e - bit u - zes - ta - es - sa



[a tempo]

სე - რა - ფიმ - თა - სა, გა -
სე - რა - ფიმ - თა - სა, გა -
